№ 149 ივლისი 11, პარასკევი 1886 ივლისი 11 პარასკევი, № 149

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 10 ივლისი

გამოჩენილი მაღალ-აზროვანი ფილოსოფოსი კუზმა პრუტკოვი, რომელსაც ამ ოცის წლის წინად დიდი სახელი ჰქონდა განთქმული რუსეთის მწერლობაში, ამბობდა ხოლმე: ყოველს საგანს უნდა ღრმად დაუფიქრდე, ძირამდინ ჩაჰყვე და ფესვი გაუჩხრიკოვო. საკვირველი ბრძენი კაცი იყო ეს კუზმა პრუტკოვი, ზოგჯერ ისე ღრმად ჩაუფიქრდებოდა, ისე ძირამდინ ჩაჰყვებოდა საგანს, ისეთ საოცარ აზრს გამოიყვანდა ხოლმე თავის ღრმა ფიქრებიდამ, რომ ჩვენ და თქვენ, მკითხველო, და საზოგადოდ ჩვენ ყველას სიკვდილის უბრალო მვილებს, თავში ფიქრადაც არ მოგვივიდოდა.

ჩვენ გვეგონა, რომ ეს უცნაური ფილოსოფოსი ქვეყანაზე არც კი ყოფილა, რომ განგებ მოგონილია ვიღაცა მწერლებისაგან. თურმე ნუ იტყვით, კუზმა პრუტკოვი მოგონილი კი არა, ნამდვილი, ხორც-შესხმული არსება ყოფილა. ეს კიდევ არაფერი,—წარმოიდგინეთ, რომ კუზმა პრუტკოვი აქ, ჩვენში, ჩვენ ქალაქში, ჩვენ გვერდით ყოფილა. მხოლოდ სახელი გამოუცვლია,—კუზმა პრუტკოვის მაგიერ „ტურისტი" დაურქმევია თავის თავისთვის. ახლად მოვლენილი კუზმა პრუტკოვი — «ტურისტი» გაზეთ „Кавказъ"-ში დაბინავებულა და აქედამ აუწყებს ქვეყანას თავის დიდს და მაღალს აზრებს. დიდი დანაშაულობა იქნება ჩვენის მხრივ, რომ ეს მაღალი აზრები ჩვენს მკითხველებსაც არ შევატყობინოთ. ცოტა შორიდან კი უნდა დავიწყოთ ამბავი, რომ მკითხველები უფრო ადვილად მიჰხვდნენ, რაშია საქმე.

ჩვენთვის რომ ეკითხა ვისმე, კარგი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლის გამართვა, თუ არაო,—ჩვენ, რასაკვირველია, ვუპასუხებდით: კარგი კი არა,—ყოვლად სასურველი და სანატრელია ჩვენში ამ გვარი სასწავლებელიო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა უმთავრესად ხვნა-თესვას, ვენახის კეთებას და საზოგადოდ ყოველ გვარ იმ საქმეს მისდევს, რაც მიწის მუშაობას და ერთობ მეურნეობას ეკუთვნის. ცხადია, მაშასადამე, რომ იმ გვარი სასწავლებელი, რომელიც სამეურნეო ცოდნას ვრცლად მოჰფენდა ჩვენს მხარეს, დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას. მეორე კიდევ აი რით იქნებოდა კარგი ჩვენში ამ გვარი სასწავლებელი. როგორც ყველამ ვიცით, რეალურ სასწავლებლების მოწაფენი ჩვენში ყველასგან დავიწყებული და დაჩაგრული გერიშვილები არიან. უნივერსიტეტები მათთვის კარ-დაკეტილია, და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები კი საკმაოდ არ არის, რომ ყველა მსურველს სწავლის განგრძობა შეეძლოს. აი ამიტომ ასობით და ორასობით მოსწავლე ახალ-გაზდობა უადგილოდ და უსაქმოდა რჩება. რეალური სასწავლებელი იმოდენა ცოდნას არ აძლევს, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს, მეტის ცოდნის შეძენას კი მაღალის სასწავლებლის უქონლობა ხელს უშლის. უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი დიდი ნუგეში იქნებოდა ამათთვის, მეტადრე ჩვენში, სადაც ყოველ გვარ სამეურნეო ცოდნას კაცი ადვილად გამოიყენებს საქმეში. მაგრამ ჩვენ ჯერ ამისთანა სასწავლებელი არა გვღირსებია და ვინ იცის კიდევაც როდის მოვესწრობით. მანამ რა ქმნას ჩვენმა მოსწავლე ახალ-გაზდობამ? უსაქმო და უსაგნო ცხოვრება ხომ ყველასთვის სასიამოვნო არ არის!

აი აღმოჩენილა, რომ სამხრეთ საფრანგეთში არის რამდენიმე სასწავლებელი, სადაც მიწის მუშაობას, ღვინის დაყენებას და კეთებას, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის გაშენებას სწავლობენ და კიდევ ბევრს სხვა ამ გვარ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას იძენენ. ამ სასწავლებლებში ჩვენგანაც თურმე ბევრი ახალ-გაზდობა მიდის და იქიდამ ცოდნით შეიარაღებულნი ბრუნდებიან.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ! ღმერთმა ქმნას, რომ უფრო ბლომად გვენახოს ჩვენი ახალ-გაზდობა საფრანგეთში წასული; იქ სწავლა და ცოდნა შაეძინოთ, უკანვე დაბრუნებულიყვნენ და თავიანთი ცოდნა ჩვენს ქვეყანაში ვრცლად მოეფინოთ!-ასე ვიტყოდით ჩვენ, თქვენ, მკითხველო, ასე იტყოდა ყოველი კეთილ-გონიერი კაცი. ასე არა ფიქრობს მხოლოდ კუზმა პრუკტოვი. კუზმა პრუტკოვი რის კუზმა პრუტკოვია, თუ საგანს ღრმად არ დაუფიქრდება და ძირს არ გაუჩხრეკავს! და აი „Кавказъ"-ის მე-174 ნომერში, ფელეტონი იყო დაბეჭდილი: «Изъ писемъ туриста Сельско-хозяйственное училище въ Монпелье». ამ გაზეთში შეფარებული კუზმა პრუტკოვი ამ ფელეტონში პირ-და-პირ აცხადებს, რომ უნდა სასტიკად აღეკრძალოს ყოველ ახალ-გაზდას საფრანგეთში წასვლა სწავლის მისაღებად. საიდამ მოჰსვლია ასეთი უცნაური აზრი ახირებულ კუზმა პრუტკოვს? რად გაჰრისხებია ასე ან მოსწავლე ახალ-გაზდობას, ან საფრანგეთსა? ამის მიზეზი ისეთი ღრმა და უცნაური მოსაზრება გახლავთ, რომ ჩვენ, მკითხველო, თავში ფიქრადაც არ მოგვივიდოდა. თურმე ნუ იტყვით, ყოველი ახალ-გაზდა, რომელიც კი საფრანგეთში რამდენსამე წელს დაჰყოფს, ისეთის მავნე აზრებით აღიჭურვება ხოლმე, რომ ჩვენ სამშობლოში მისი დაბრუნება დიდად საშიშარი და დასაფიქრებელი უნდა იყოსო. რა სახით მოსდის ასეთი უცნაური ცვლილება საფრანგეთში წასულ ახალ-გაზდას, ასეთს რა მანქანებასა ხმარობს საფრანგეთი, რომ ასე უცბადა ჰრევს უცხო ქვეყნიდამ მისულს ახალ-გაზდასა? ესეც მიუწდომელია და ამიტომ სიტყვას თვით კუზმა პრუტკოვს ვუთმობთ. „საფრანგეთში,— გვასწავებს კუზმა პრუტკოვი— „ტურისტი",—ყველა პოლიტიკობს, ყველა პოლიტიკაზეა გადარეული. არც ერთს საქმეს აქ უიმისოდ არ დაიწყებენ, რომ შიგ პოლიტიკა არ გაურიონო. პოლიტიკური მნიშვნელობა საფრანგეთისა კი თან და-თან რომ მცირდება, უცხო სახელმწიფოებზე რომ გავლენა აღარა აქვს, ეს ყველამ ვიცით, შინაც რომ ძალა უსუსტდება, ესეც არავისთვის საიდუმლო არ არისო. ბრძანებლობის, მეთაურობის და წინამძღოლობის სურვილი კი დიდი აქვს საფრანგეთს; არამც თუ პოლიტიკაში, არამედ მრეწველობაში და აღებ-მიცემობაშიაც საფრანგეთს ჰსურს პირველი ადგილი ეჭიროსო. პირ-და-პირ მოქმედება უძნელდება და აი ამიტომ სხვა გზას ირჩევსო: ცდილობს მიიზიდოს უცხო ქვეყნის ახალ-გაზდობა, რომელიც საფრანგეთში სწავლის მისაღებად მიდის. საფრანგეთის ყოველი მამულის შვილი ასე ფიქრობს: ყოველი ახალ-გაზდა, რომელიც რამდენსამე წელს დაჰყოფს ჩვენში და აქაურ განათლებას მიიღებს, მერე, როდესაც უკან დაბრუნდება, უთუოდ საფრანგეთის ერთგული მომხრე იქნება და აქაურს აზრებს გაავრცელებს თავის სამშობლოშიაცაო".

„რასაკვირველია, ეს ამბავი სასიამოვნო არ არის, განაგრძობს იგივე კუზმა პრუტკოვი, მით უფრო, რომ საფრანგეთი რაღაცა სიძულვილით უყურებს ყველა უცხო სახელმწიფოსა და ცდილობს იმათში მისულ ახალ-გაზდასაც გული შეუცვალოს, შეაძულოს სამშობლო ქვეყნის წესწყობილება, მმართველობა, თუმცა შეიძლება ერთიც და მეორეც ამის სამშობლოში უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე საფრანგეთში."

ასე მოჩარხული, ასეთის აზრებით აღჭურვილი ახალ-გაზდობა, რასაკვირველია, ყოვლად მავნებელია და სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამის შემდეგ, რაც კუზმა პრუტკოვმა—„ტურისტმა" ასეთი ჭეშმარიტება ქვეყანას აუწყა და ყველას თვალი აუხილა, არც ერთი მამულის პატრონი ამ საფრანგეთიდამ მოსულ აგრონომებსა, სხვა-და-სხვა ჭიების მომვლელსა სათოფე მანძილზედაც აღარ მიიყენებს. ყველა, რასაკვირვე-

---

ფელეტონი

ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში.

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში)

I **ნახუდშ ლიხკვნე.** რამოდენიმე ყმაწვილი ორს თანასწორ დასად განიყოფება, მაგალითად, ოთხი ყმაწვილი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი და სხვა... დანიშნავენ ადგილს, საიდამაც ერთმა დასმა უნდა დაიწყოს გახტომა (ლისკვნე). გახტომის დაწყებამდე ორი შემდეგი ცერემონია უნდა ასრულდეს: „ლილკჰე" (არჩევანი) და „ლიცხრე" (ჩხირის აგდება, ე. ი. კენჭის ყრა). ორი ყმაწვილი დადგება განზე და მოახდენენ არჩევანს ამ ნაირად: თამაშის მსურველი ყმაწვილები ორ-ორი დგანან ხოლმე ერთად. ერთი ამათგანი დაირქმევს „მზეს" (მიჟ), მეორე „მთვარეს" (დოშდულ). მიელენ ზემოდ ნახსენებს ორს ამომრჩეველს ყმაწვილთან და ეტყვიან: «მზე გინდა, თუ მთვარეო?» ერთი ამომრჩეველთაგანი დაასახელებს ან მზეს, ან მთვარეს და ამ ნაირად ერთი ერთ ამომრჩეველისაკენ წავა და მეორე—მეორეს დარჩება. ამ რიგად განაგრძობენ ბოლომდინ, სანამ ყველა ყმაწვილები არ იქმნებიან ამორჩეულნი.

ახლა რომელმა დასმა უნდა დაიწყოს პირველად გახტომა, ამაზე დაიწყებენ ლაპარაკს და გაათავებენ იმითი, რომ ჩხირს, ან რგვალს და პრტყელს პატარა ქვას აისვრიან ზევით. ჩხირის ან ქვის მხარეები თვითეულს დასს დანიშნული აქვს. რომელი დასის დანიშნული გვერდი ანასროლის ჩხირისა ან ქვისა ბინაზე ზემოდამ მოექცევა, დაწყებაც იმ დასის ხვედრია. ერთი ამ პარტიის ყმაწვილი დანიშნულის ადგილიდამ (გარდ) დაიწყებს და შეუსვენებლად გააკეთებს ორს ნახტომს. სადაც ეს გაჩერდება, იქიდამ განაგრძობს ამავე რიგად ხტომას მისი ამხანაგი და ამ ნაირად, სანამ ეს დასი არ გაათავებს. იმ ადგილს, სადაც მიაღწია დამწყებმა დასმა, დანიშნენ.

ამის შემდეგ მეორე დასი დაიწყებს გახტომას. თუ პირველის დასის ნახტომს—(სიგრძით) გასცილდა, მაშინ ეს დასი არის ნაჯობნი, თუ ვერ მიაღწია,—მაშინ წაგებულია. წაგებულს მხარეს მიადგება შემდეგი დასჯა: ნაჯობნი დასის ერთი ყმაწვილთაგანი, თითქმის ყოველთვის სხვებზე უფრო ღონიერი—პირ-დაღმა დაწვება მიწაზე; აქედ-იქით იღლიებში ამოიდებს თითო ფეხს ორის წაგებულის ბაშვისასა. ამ დროს ერთი ნაჯობნი ყმაწვილთაგანი მივა ფეხებით დაკავებულ ყმაწვილებთან, თავის ხელს მათ ხელზე დაარტყამს ისე, რომ არ დაიჭირონ, და შემდეგ გასწევს, რაც შეუძლია პირ-უკუღმა, ე. ი. ზურგისკენ გაიქცევა.

ამ დროს ფეხებ-დაჭერილი ორი ყმაწვილი ცდილობს მალე გაუსხლტნენ დამჭერს, რომ დროზე დაეწიონ უკუ-გაქცეულს ყმაწვილს. მწოლარე ყმაწვილი კი თავის-თავად ყოველს ღონეს ხმარობს ეს ორი ყმაწვილი ხანგრძლივად შეაკავოს, რომ ამითი დრო მისცეს უკუ-მქცევს თავის დასის ყმაწვილს. შემდეგ რამდენიმე ხნის მითრევ-მოთრევის და მიხოხ-მოხოხვისა მიწაზე, ან თოვლზე მწოლარე ყმაწვილი იღლება და მას იღლიებიდამ უსხლტებიან ორი ყმაწვილი, რომელნიც გარბიან უკუ-მქცევისკენ დასაჭერად. იმ ადგილიდამ, სადაც ეს ორი ყმაწვილი დაეწევიან უკუ-მქცევს, წაგებულმა დასმა უნდა აიკიდოს ზურგზე ნაჯობნი პარტია და წამოიღოს იმ ადგილამდე, საიდგანაც ხტომა დაიწყო.

II **კილი კახჩუშ ლიხკვნე.** ოთხხუთ გოჯის სიგრძე ჩხირს წვერს გაუწვეტიანებენ. ამ ჩხირს ერთი ყმაწვილი ხელში დაიკავებს; დანიშნავენ ხტომის დასაწყობს ადგილს, რომელსაც „გარდს" ეძახიან, როგორც ზემოდაც არის ნახსენები; შორიდამ ჩხირიანი ყმაწვილი გამოექანება, „გარდისკენ"; აქ ცალს ფეხს დაჰკრავს და რაც შეუძლიან ცალიერ ფეხით გადახტება. მეორე ფეხი უკან გადალუნული უნდა ჰქონდეს ყმაწვილს და მიწას არ უნდა მიაკაროს. „გარდთან," სადაც ფეხი დაჰკრა ყმაწვილმა ხტომის დროს, უნდა ჩადგას ცალი ფეხი და გაწვდენილის ხელით დაასვას მიწაზე, ან თოვლზე ჩხირი იქ, სადამდინაც მკლავი გასწვდება. შემდეგ ამავე სახით და რიგით მოჰყვებიან დანარჩენი ყმაწვილებიც და ვინც გარდიდამ ყველაზე უფრო შორს დაასობს ჩხირს, ნაჯობნი ის ყმაწვილი იქნება.

III **ლიბუდარალ.** ორს თანასწორ გუნდად გაიყოფა ბაშვების გროვა, დადგებიან მწკრივად, ჩაჰკიდებენ ერთმანერთს სარტყლებში ხელებს. ერთი გუნდი ერთის მხრით იწევს და ეწევა, ეზიდება მეორეს, მეორე კი წინაღმ-

ლია დიდს მადლობას განუცხადებს კუზმა პრუტკოვს ამ გვარის სამსახურისათვის. ჩვენც რა გვეთქმის იმის მეტი, რომ უნდა ქება მივართოთ ამ გვარ გამჭრიახობისათვის. მხოლოდ ერთს შენიშვნას კი მივცემთ ჩვენის ქვეყნის მხნელს კუზმა პრუტკოვს გვიკვირს, როგორ მოუვიდა ამ შორს მჭვრეტელს ფილოსოფოსს, რომ შემდეგი გარემოება უყურადღებოდ დასტოვა. საფრანგეთში მოსწავლე ახალგაზდობა ვსთქვათ რომ ჩვენთვის მავნებელია, მაგრამ ეს როგორ ვეღარ მოიფიქრა ჩვენმა კუზმა პრუტკოვმა, რომ «საფრანგეთის აზრების გავრცელება სხვა გზითაც შეიძლება. ეხლანდელს დროში აზრების არ-გასავრცელებლად განა შეიძლება რაიმე ღობე კაცმა კაცს შემოავლოს? წიგნებს, ჟურნალ-გაზეთობას, ტელეგრაფს, რკინის-გზას, ვაჭრობისათვის მისვლა-მოსვლას რიღათი შეუკრავს გზას? ეტყობა კუზმა პრუტკოვისთვის ღრმა მოსაზრებას უმტყუვნია. სულ უველას ის არ ემჯობინებოდა, რომ საცა თქვენა ჰზიხართ ერთი იქ თვალით აუწვდენელი კედელი გაავლოთ, რაც სტამბე'ია ქვეყანაზე სულ ამოავდოთ, რკინის გზები დაშალოთ, ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტოთ და კაცს ყველა სახსარი ჩამოართოთ, რომ ერთი მეორეს აღარ ეკარებოდეს,—ერთის სიტყვით მეცხრამეტე საუკუნის ყოველივე გამარჯვება ისტორიიდამ ამოჰშალოთ?

ახალი ამბავი

⁂ ორიოდე სიტყვა კიდევ დ. ყიფიანის საქმეზედ, ჩვენ გუშინდელსა და გუშინწინდელს გაზეთის ახალ-ამბებში წაიკითხავდით ყიფიანის საქმეს და, რასაკვირველია, ამონაკითხის თანახმად მკითხველი შეადგენდა ამ საქმეზედ თავის საკუთარს აზრსა. ეხლა გამოჩნდა, რომ ამ საქმეს თან-დათან სხვა ფერი ეძლევა. აი როგორ გვიამბო ეს ამბავი ერთმა სარწმუნო პირმა: ყიფიანი შესულა თავის ამხანაგებით ქარვასლის ქვეშ სასტუმრო'ში, იმათი ღვინო არ მოსწონებია და ღვინო სხვაგნიდგან მოუტანინებია. ეს, რასაკვირველია, სწყენია არტემ კამალოვს, სასტუმროს პატრონს და ანგარიში 13 მან. და 50 კაპეიკისა (და არა 14-ისა, როგორც ჩვენს გუშინდელს გაზეთში იყო მოხსენებული) წარუდგენია ყიფიანისათვის. ყიფიანს არ მოსწონებია ასეთი ანგარიში და დაუწყია კიცხვა ანგარიშის მომტანს თავიანთიბურად რაღაცა უზრდელი სიტყვა დაუტანებია; ყიფიანს ეს შეურაცხ-ყოფად მიუღია და შეუტევია—რა ნება გქონდა მაგისთანა სიტყვების წარმოთქმისაო. მაშინვე მისცვივნიან ხუთნი-ექვსნი და ყიფიანისათვის ვითომ ცემა დაუპირებიათ. ყიფიანს ხანჯალი ამოუღია. რომ განშორებიან, ისევ ჩაუგია, დანარჩენი 3 მან. 50 კაპეიკიც მიუცია (თუმანი ადრევე ჰქონია მიცემული) და გამოსვლა დაუპირებია. ამ დროს მიჰპარვია ვიღაცა და ბარძაყში პატარა ხელის დანა დაუცია. დანარჩენი უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს. როდესაც ამოღებული ხანჯალი წაურთმევიათ, მისცვივნიან თოკით შეუკრავთ და ამ დროს ხელებისათვისაც ცოტაოდენი ნება მიუციათ დამჭერთ.

⁂ ამას წინად ჩვენ გავიგონეთ სახივარი ერთის პირისაგან, რომ აგერ მთელი თთვეა «ვეფხვის-ტყაოსნის» ყიდვა მინდა და ვერსად ვიშოვეო. მართლაც რომ ძნელად საშოვარი-ღაა ეს წიგნი. კარგი იქმნებოდა ამ გარემოებისათვის მიექციათ ყურადღება და ჩქარ-ჩქარა გამოეცათ ხოლმე იმისთანა წიგნები მაინც, რომელთაც ხალხში გასავალი აქვსთ და იყიდებიან. თუ ვინმე იმას ერიდება, რომ ხალხი ქართველიშვილისაგან დაწყებულს სურათებიანს «ვეფხვის-ტყაოსანს» მოელისო, უსაფუძვლო ხიდია. სურათებიანი «ვეფხვის-ტყაოსანი» ეღირება არა ნაკლებ 10-ისა, ანუ 12 მანეთისა და მდაბიო ხალხს სად შეეძლება ამისთანა ფასი გაიღოს წიგნზედ. მისთვის საჭიროა 40—50 კაპეკიანი ვეფხვის ტყაოსანი, ესე იგი, ისეთი, როგორიც 1883 წელს გამოსცა ქუთაისში წულუკიძემ. „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ განზრახვა ჰქონდა ამ თხზულების პატარა წიგნად გამოცემა, მაგრამ ჯერ არაფერი ამბავი ისმის.

⁂ როგორც გავიგეთ, ერთს ყმაწვილს კაცს განუზრახავს ქართულ-რუსულის წიგნის მაღაზიის გაღება. ეს სურვილი მის მიერ გამოუწვევია იმ ამბავს, რომ ჩვენი წიგნის გამსყიდველები უწესოდ ექცევიან და ყოველივე ნდობა და პატივი დაკარგული აქვსთ საზოგადოებისაგანაო. ამ პირს უკვე მიუყვია ხელი რუსულის წიგნების შესაძენად. თქმა არ უნდა, რომ რიგიანი ქართულის წიგნის მაღაზია დიდს სარგებლობას მოგვიტანს და არც იზარალებს, თუ ყოველგვარი შეშუდი ექმნება და მთხოვნელთ დააკმაყოფილებს. თორემ აწ არსებულს წიგნის მაღაზიაში ქართულს ანბანსაც ვერ იშოვნით რიგზედ და რომ მიხვიდეთ საყიდლად, ორის დღის შემდეგ დაგიბარებენ, მაშინ გვექმნებაო.

⁂ დღეს მოელიან ქალაქში სამხედრო-მინისტრს გენერალ-ადიუტანტ. ვანნოვსკის. სხვათა შორის მინისტრი ინახულებს ალბულაღსა და დედოფლის-წყაროს, სადაც ამ ჟამად დრაგუნები და გრენადერის პოლკი არის დაბანაკებული საზაფხულოდ.

⁂ ივნისის თთვის განმავალობაში შემდეგი შემთხვევები მომხდარა: ცეცხლი გაჩენილა—3 ჯერ, უბედურობით მომკვდარა—9, მოუკლავთ—4, თვით-მკვლელობა ყოფილა—3, ყმაწვილი მიუგდიათ—8, გაუცარცვავთ—1, გაუქურდავთ—4 და განსაკუთრებითნი შემთხვევანი (ჩხუბი, დაჭრა და სხვ.)—5. ამას გარდა დაუჭერიათ ერთი ჯარიდგან გამოქცეული ჯარის-კაცი და ერთი ყალბის ფულის მქონებელი.

⁂ ტფილისის მაზრიდგანა სწერენ გაზ. «ახ. მიმოხ.» ამას წინედ სოფ. თაქლაში ვიღაც უცნობ ავაზაკებს რამდენისამე ახლად მოთიბულის თივის ძირისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ზარალი 2,000 მანათამდეაო.

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ ბათუმიდამ: პორტო-ფრანკოს გაუქმებამ მეტად სასიამოვნო ზედ-მოქმედება იქონიაო აქა. ყველა ჩვენგანმა თავისუფლად ამოისუნთქა, რომ გაიგო ეს ამბავი და წარმოიდგინა, რომ ამის შემდეგ საბაჟოს მოხელეთ ნება აღარა აქვსთ ხელები აფათურონ მის ზანდუკებსა და ყუთებშიო. ამბობენ, რომ ბევრნი ვაჭრები დუქნებს დაჰკეტავენო. ამბობენ აგრეთვე, რომ პორტო ფრანკოს გაუქმებით ნავთის მწარმოებელნი იზარალებენო, რადგანაც ნავთისთვის საჭირო თუნუქები ბაჟ-გადუხდელად მოსდიოდათ უცხოეთიდამ და ეხლა რადგანაც ბაჟაა დაწესებული, ნავთის ფასი აიწევსო. დასასრულ, ამბობენ, იქნება ეხლა მაინც გვიწყალობოს მთავრობამ საქალაქო თვით-მართველობაო.

⁂ გაზ. «ნორ-დარსა» სწერენ: 26 ივნისს ღამე ნახიჩევნის ციხიდგან ტუსაღი გაიქცა, თხრილი გაუთხრია და ისე გაქცეულაო.

⁂ სურამის უღელ-ტეხილის მოსახვევისათვის რკინის გზის მაკეთებელთა უფროსად, გაზ. „Нов. Вр.“ სიტყვით, დაუნიშნავთ ინჟინერი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ფ. დ. რიძევსკი, რომელიც ამ ჟამად სახაზინო გზებ.ს გამგეობის ვიცე-პრედსედატელის თანამდებობას ასრულებს.

⁂ იმ ტყეების საწარმოებლად, რომელნიც შავის ზღვის ნაპირებზე და კავკასიაში არიან და რომელნიც ეკუთვნიან პრინც ოლდენბურგისას და სხვებსა, პარიჟში შემდგარა სააქციო საზოგადოება 2½ მილლიონის ფრანკის თანხითა. ეს საზოგადოება შემდეგის სახელ-წოდებით იწარმოებს: «Societé françaice d'exploitation foreslière». საზოგადოება დაუფუძნებიათ ბბ-ნთ გაგიენოვს, გეცსა და ლეონ გვილლიუსს. საზოგადოების დამფუძნებელ წევრებად, გაზ. «Бирж. Вѣд.»-ის სიტყვით, ირიცხებიან აგრეთვე ბანკირები გერმანი, პარე და სხ.

⁂ სოხუმიდამ გვწერენ: წელს მოსიარულე, ან უკედ ვსთქვათ მოწანწალე არტისტებმა ლამის არაქათი გამოგვაცალონ. მოდის და მოდის სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი ამ საცოდავს სოხუმში. ვინ არის ეს ხალხი? მოგზაური ტრუპპა. რა რჯულის ხალხია? რუსი, სომეხი, ბერძენი, პოლიაკი და სხვა ათასი. სოხუმელები მიესწრაფებიან წარმოდგენაზე; მაგრამ იქიდამ ყურებ-ჩამოყრილნი და იმედ-მიხდილნი მიდიან შინ. იწყევლიან თავს, ფიცს სდებენ, რომ აღარ წავალთ წარმოდგენაზე. სოხუმში ვიღაც ტფილისელი სომხები ჩამოვიდნენ და ისეთი აფიშა გააკრეს, რომ ვიფიქრეთ, ეს მაინც, იქნება, კარგი რამ იყოსო. აფიშაში იყო მოხსენებული რომ აზიურს ენებზე იმღერებენ, წარმოადგენენ სხვა-და-სხვა ვოდევილებს და სხვანი და სხვანი. ვიფიქრეთ, იქნება, ახლა მაინც არ მოვსტყუვდეთო; წავედით. პირველად დაიწყეს სომხური სიმღერები, რომელზედაც სომხები უკმაყოფილონი დარჩნენ; შემდეგ იმღერეს რამდენიმე ქართული ლექსი, მაგრამ ჯერ ლექსი ლექს არა ჰგავნდა და მეორედ კილო ებრაულ-სომხური იყო. ამაზე სიმღერის შემდეგ წარმოადგინეს რუსულ-სომხურ-სპარსულ ენაზე ვოდევილი. ვოდევილი გვარიანი იყო შინაარსით. ბოლოს ითამაშეს ქართულად ვოდევილი ორი მშიერი; უშინაარსო, ბალაგანური და საძაგელი რამ იყო.

ნაკვესი

მთავრის მემკვიდრე დ. დ... ჯიქეთის ომში ბრძანდებოდა. სროლა რომ ასტყდა; ამ დროს დაინახა ომიდგან დაბრუნებული გურული (თურმე დაჭრილი იყო) და შეუძახა:

— ჭაი შე მხდალო! რატომ სხვებს არ ეხმარებიო?

გურულმა მიუგო:

— თუ კარგი გულადი ხარ, ახლა შენ მიბძანდი წინაო.

რ.

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სამეგრელო. დიდი ხანია მას აქედ, რაც მე სამეგრელოში არა ვყოფილვარ და დიდის სიამოვნებით მივეშურებოდი ამ დღებში ჩემს საყვარელს ოდიშისაკენ.

ამ ათის წლის წინად რაც მინახავს, იგი ახლა ან სრულიად არ არის, ან დროთა ბრუნვას შეუცვლია. აი მაგ. მაშინ ოდიშში საუკეთესო სახნავი მიწა ქცევა ოც მანეთიდამ ორმოც მანეთამდის ღირდა, ახლა ას მანეთიდამ ორას მანეთამდის ადის. ხშირად ფული არის და გასაყი-

---

დეგ მხრისკენ ეწევა და ცდილობს მიითრიოს პირველი გუნდი თავისკენ. მომრევი ნაჯობნია.

IV **ღიჩირხალ.** ჩარხი არის პატარა მარხილი, რომელიც მცირე განსხვავების გარდა, ჰგავს რუსულს „Санка“-ს. ყველა ყმაწვილს აქვს თავისი „ჩარხი“. ახალ-წლიდამ დამოკიდებული იმავე წლის დიდ-მარხვამდინ, ყმაწვილები სოსიალობენ (кататься) ჩარხებით დატკეპნილს თოვლზე. სასოსიალოდ, რასაკვირველია, ირჩევენ მოფერდოს ადგილს, სადაც ჩარხი ჩქარა დაექანება დაღმართში. ეს თამაშობა ძლიერ უყვართ ყმაწვილებს.

V **ღიმხუვანალ.** თანასწორად გაიყოფა ბავშვების გროვა, რომელნიც პატარა ნიჩბებით არიან დაიარაღებულნი. დადგებიან თოვლიანს მინდორში ერთი მეორის პირ-და-პირ და აყრიან ერთმანერთს თოვლს ტანზე, ცხვირ-პირში. გამქცევი პარტია ნაჯობნია.

VI **ღიმურევგამალ.** გაშლილს ადგილს, სადაც თოვლი სქლადა სძევს, ყმაწვილები ამოიყვანენ თოვლის ზვინს, შაქრის თავის მსგავსად. ორი ყმაწვილი თავიდგანვე შეუდგება მოგროვილის თოვლის ტკეპნას; დანარჩენი ყმაწვილები ირგვლივ აყრიან თოვლს, რომ თოვლის ზვინი აამაღლონ. სიმსხო სიმაღლე თოვლის ზვინისა, ან პირ-და-პირ რომ გადმოვსთარგმნოთ „კოშკისა“ (მურყვამ) ყმაწვილების სიმრავლეზე, ღონეზე და თოვლის ბლომად ქონებაზეა დამოკიდებული. როდესაც თოვლის კოშკი იმოდენად ამაღლდება, რომ ყმაწვილები ძირიდგან ვეღარ აწვდენენ თავამდე თოვლს, მაშინ ორი მტკეპნელი ძირს ჩამოვა; თოვლის კოშკს დაამრგვალებენ, გვერდებს შეუსწორებენ. ამ კოშკს ხან ასე დასტოვებენ, ხან კი გულს გამოაცლიან და შიგ ოთახს გამოსჭრიან დილეგად და სხვა-და-სხვა.

VII **ღიდშნალ.** ყოველს ყმაწვილს 12 წლამდინ აქვს ხის ლეკური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდამ-წლამდე, სანამ დანიშნულს ხნოვანობას არ გადასცილდება. ნათლის ღების მომყოლს ორშაბათს ღამით ბავშვები ერთის სოფლისა დაიკიდებენ ამ დაშნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთს უკაცურს სახლში. დილით ადრე დგებიან, ჩამოივლიან სოფელს და ყოველს მოსახლისას მიდიან ერთად. სახლში შესვლისათანავე ყმაწვილები ამოიღებენ თავისებურს ქარქაშებისაგან დაშნებს და ურტყამენ სხვა-და-სხვა ავეჯეულობას ოჯახისას, რომელიც კი ოჯახში ჩამოკიდებულია,—ერთის სიტყვით მოქმედობენ ისე ჩქარა და აღელვებული, თითქო ოჯახს იერეშით იღებენო. ხშირად ოჯახი იძულებულია ძალით გარეკოს კარში პატარა «მეომარნი», თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჩვეულებას პატივი უნდა სცეს.

VIII **ღიფშვდანალ** ყმაწვილები დასდგამენ სამი-ოთხის საჟენის სიშორეზე რაიმე ნიშანს: ჩხირს, ქვას... თვითოეულად ყველანი ესვრიან ამ ნიშანს «მუჯუროს» *) თითოჯერ. ვინც ყველაზე მეტს დააცილებს ნიშანს, მან უნდა დაუდგას დანარჩენს ყმაწვილებს ნიშნად რაიმე საკუთარი ნივთი: დანა, ქუდი, მასრი და სხვა... ჩამორიგებით ყველანი ესვრიან ამ ნიშანს, ვინც ამასაც სხვაზე მეტს დააცილებს, მან უნდა დადგას საკუთარი ნიშანი. ამ ნაირად გრძელდება თამაშობა, სანამ არ მოეწყინებათ. ნიშნად დადგმული ნივთები ძვირადღა დაუბრუნდება პატრონს მთლიანად: დანები დაიმტვრევიან, ქუდებს გახევს მუჯუროს წვერი და სხვა. მანძილი ნიშნის დადგმისა სხვა-და-სხვაა: კარგს დანას უფრო შორს დასდგამს პატრონი, მინემ მდარე დანას, ქუდებსაც ამ გვარად ეს თამაში ყმაწვილს უვარჯიშებს მხედველობას ერთის წერტილისადმი და აგრეთვე იმ ხელს, რომლითაც მუჯუროს ისვრის. ეს ვარჯიშობა პირველი ბიჯია შვილდ-ისრისა და შემდეგ თოფის სროლის შესასწავლელად. ამ თამაშს მოზრდილებიც შეექცევიან ხშირად.

IX **მურამ-ულდი ქელა.** რამოდენიმე ყმაწვილი ერთი მეორეს ჩაჰკიდებს ხელს ბეჭებში და ირგვლივ დადგებიან. ამათ ბეჭებზე დადგება იმდენივე ყმაწვილი, რამდენიც ქვეით დგანან და ეგენიც ერთი მეორეს ხელებს ჩასჭიდებენ ბეჭებში. ქვეშ მდგომნი დაიწყებენ აქეთ-იქით ნძრევა-სიარულს, მიხვევ-მოხვევას და სიმღერას. სიმღერაში ემუქრებიან ზევით მდგომ ყმაწვილებს, რომ მათ ძირს დახეთქებენ; ზევითურები უშიშრობას უცხადებენ სიმღერითვე. ამ დროს ქვედაურები იმ გვარად უხლართენ ზედაურებს, რომ თუ ეს უკანასკნელნი მარჯვედ არ არიან, გაითხლართებიან მიწაზე. ეს დამოკიდებულია ქვედაურების მოხერხებაზე და ზედაურების სიმარდეზე.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

---

*) „მუჯურო“ ერთ ნაირი რკინა-წამოცმული ჯოხია. რკინა ბოლოში წვეტიანი და ოთხ-კუთხედია, თავში ჯოხის ჩასარჭობი ადგილი აქვს. სიგრძით რკინა 6—14 გოჯია. ავტ.

დი ადგილი-კი არა. ხალხითაივსო ისეთი ადგილებიც კი, სადაც ამ ოცის წლის წინედ მხოლოდ გარეული ღორები და სხვა ნადირი ბუდობდა. ამას გარდა ამ ათის წლის წინედ რომ ქცევა მიწა მოსავალს იძლეოდა, ახლა, როგორც მიამბეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, იმის ნახევარს თუ იძლევა. ჩვენში წესად არ არის შემოღებული არც სასუქის დაყრა და არც მიწის შესვენება.

ამას წინად სწერდნენ გაზეთ „კავკაზში“, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მხოლოდ იმ ადგილს მუშაობენ, რომელიც სარწყავი, ან ადვილი მოსავლელიაო. აქაურს მცხოვრებს ხელის განძრევა ეზარება, არ იწუხებენ თავს ხმა ადგილები შეამუშაონ და გააუკეთესონ.

ძრიელ უსიამოვნოდ დამირჩა მოგზაურობა ჩემს ტურვა სამეგრელოში. სადაც არ გაიხედავ, მამასახლისებს უჩივიან. «გვატყუებენ მამასახლისებიო», გაიძახიან. ესა-და-ეს მამასახლისი გვჭამდა ჩვენის ფულებითაო. სოფლის მოსამართლე აბაზის გულისთვის საქმეს გადააბრუნებსო და სამართლიანს საქმეს უსამართლოდ გაჩვენებს. ყოველთვის ყველა გლეხი მოხელეების დაცვლას აღდგომის დღესავით მოელიანო, რადგანაც ყველა მათგანი ცდილობს მოხელედ გახდესო და შემდეგ თავისს მეზობელზე ჯავრი ამოიყაროსო.

—

ძველად აქაურმა ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით იმერეთ-სამეგრელოში, სადაც ყოველ მოსახლეს შეძენილი აქვს საკუთარი მამული, დიდი ყურადღება მიაქცია გზების გაკეთებას. თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებით მშვენიერ გზატკეცილს, ოთხ-ხუთ საჟენიანს სიგანით. ბოლოს ამ საქმეზე გული აიყარეს და გზები თან-და-თან დაფუჭდნენ; დღეს ისე ცუდ ყოფაშია გზები, რომ კაცს არ გაევლება. აი მაგალითად: ამ ორის წლის წინად აბაშის და სუჯუნის საზოგადოების საზღვარზე გლეხებს ცილაობა მოსვლიათ გზის თაობაზე. იმ წამსვე ადგილობრივს მამასახლისებს მიანდო პოლიციამ გზის შესწორებაო. მოვიდნენ მამასახლისები, გასინჯეს გზა და სთქვეს რომ შევაკეთებთ, გავაფართოვებთო. ხოლო პრისტავს კი ასე უთხრეს მამასახლისებმა: გზა შევაკეთეთო. მაგრამ გზა ისევ იმ დღეშია, როგორც იყო წინად. ამას წინად ეს გზა შემთხვევით, როგორც მიამბეს, ადგილობრივს პ—საც უნახავს; გამწყრალა და გასწორება უბრძანებია, მაგრამ დღესაც ის გზა ჭანტურიანთ კარის გზად იწოდება.

ერთს გლეხს სიმინდი მოჰქონდა თურმე ცხენით გასასყიდად. ამ გზით უნდა გამოევლო; ცხენი ჩაუვარდა ტალახში, საპალნეც გადუვარდა; თვით ცხენი დიდის ვაი-ვაგლახით გამოვიდა, მაგრამ საწყალ გლეხის ოთხი ფუთი სიმინდი დღესაც იმ ჭანტურიანთ კარის გზის ტალახშია. ბევრიც სხვა მაგალითებია, მაგრამ ვინ ჩამოსთვლის.

მარტო ეს ერთი გზა არ არის ასეთს მდგომარეობაში. ამ გვარი გზები იმერეთ-სამეგრელოში აუარებელია.

ძველი სტუმარი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც ხშირად ჰნახავს კაცი, რომ მთელი დასი სოფლის მუშებისა მიეშურება ერთის თემიდამ მეორე თემს, ერთის კუთხიდამ მეორე კუთხეს ზაფხულში ცეცხლის პურის ჭამის დროს სამუშაოდა და ორიოდე გროშის შესაძენადა და გამოსარჩენადა. იმ თემიდამ და მხრიდამ, სადაც მოსავალი ნაკლებია, მუშები მიდიან იქ, სადაც სამკალი და სათიბი, საზიდი და სალეწი ჭირნახული ბლომად მოსულა და იქაურებს მარტო თავის ღონით ვერ მოუვლიათ. შიდა ქართლი ზაფხულობით სავსეა ხოლმე მცელავ ოსებითა, წელს ბევრნი არიან რაჭველი მომკლებიცა. გარე კახეთში ხშირად ქიზიყელები მუშაობენ ხოლმე, როცა ქიზიყში ნაკლები მოსავალია ხოლმე. ამ გვარად ქვეყანა იოლად მიდის, ჭირნახულის პატრონს მოსავალი მინდორზე არ უფუჭდება და იძულებული არ არის ერთის დღიურის მომკასა და ან მოცელვაში ოთხი და ხუთი მანათი გადაიხადოს. ესევეა რუსეთშიაცა. შიდა გუბერნიებიდამ დიდ-ძალი მუშები, ესრედ წოდებულნი მცელავნი გაეშურებიან ხოლმე სამხრეთ რუსეთისაკენ, სადაც ხან-და-ხან დიდი მოსავალი იცის ჭირნახულმა და სათიბი ბალახიც წელამდეა ხოლმე თვალ-გადუწვდენელ მინდვრებზე.

კარგია, როცა ასეა ხოლმეო, ამბობს გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი. მაშინ კარგს ფასს იღებენ ხოლმე მუშებიო, მაგრამ უბედურობა მაშინ არის, როცა მოსავალი მომცდარა და მუშები კი მრავლად შეკრებილან სამხრეთ რუსეთში იმ იმედით, რომ კარგი გამორჩენა გვექნებაო. ასეთი მოუსავლიანი წელიწადი ხშირადა დგება ხოლმე სამხრეთ რუსეთისათვისაო. წელსაც სწორედ ასეთი მოუსავლიანი წელიწადია ამ მხარეში და ურიცხვ მუშას-კი აულია თავი და წასულა ამ მხარეშიო. აი ეს არის ჩვენის გლეხის უბედურებაო: თუ მიდის სადმე, აღარც იკითხავს, აღარც იწვრილავს, აიღებს თავს, გადიწერს პირ-ჯვარს წელამდე თავ-დახრითა და გასწევს დაბარებულივითა. სამუშაოს ვეღარა შოულობს, რაც თანა აქვს ისიც ელევა და მშიერი დადის და თხოულობს ლუკმა პურსაო.

ტანში ჟრუანტელი უვლის კაცსა ამ ამბავს რომ კითხულობსო, ამბობს „Русскій Курьеръ“-ი. ნუ თუ ჩვენმა გულგრილობამ, ჩვენმა დაუდევრობამ იქამდე მიაღწია, რომ ქუჩაზე ხალხი სიმშილით იხოცება და ჩვენ ამას ისე ვუცქერით, ვითომც აქ არაფერია, ვითომც ჩემს იქით მუხა წაქცეულაო. მერე განა ძნელია ამ ნაირ საქმეს წამალი დაედოსო?!

მართლაც რომ ძნელი არ არის. ამისათვის საჭიროა მხოლოდ კანტორები დაწესდეს და ამ კანტორებმა შეჰკრიბონ ცნობა, სად, რა თემსა და რა მხარეში როგორი მოსავალია, დაახლოვებით რამდენი მუშა მოუნდება და სხვანიო. ამ ადვილის საშუალებით ეშველებოდა ასეთს სამწუხარო ამბავსაო. საშუალებაც კარგია და რჩევაც გაზეთისა კარგია, მაგრამ კარგს მთქმელსა და კარგს მრჩეველს კარგი გამგონეც უნდაო. ნათქვამია:

„არა-რაისგან არ იქმნების არარაიცა.“

⁂

რის გაგონებაც უნდათ, იმას ყოველთვის ადვილად გაიგონებენ ხოლმე. სამწუხარო ის არის, რომ მაშინ მთქმელნი აღარ ვარგანან და როცა მთქმელი ცუდია, კი არ უნდა გაუგონო, იმის პილწისა და უმართებულო ლაპარაკისათვის უნდა დახშნა ყურნი და სასმენნი შენნი. სწორედ ასეთი საქმე მოსვლიათ ვიღაც ლეუხინსა, მანუხინსა და კამპანიას, რომელსაც თავის ნებითა და სურვილითა, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავის „არა-მკითხე მიამბეობითა“ უკისრნია წვრთნა და სულიერი ზრდა რუსეთის უბირის ხალხისა და საზოგადოებისა. ამ მწვრთნელთ დიდ-ძალი მსმენელი გამოსჩენია. მათი წიგნები მრავლად თურმე ისყიდება და ვრცელდება საზოგადოებაში.

ლეუხინი, მანუხინი და მათი დამქაშები, ამბობს სამართლიანის გულის წყრომით იგივე გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი, წინანდებურის გულ-მოდგინეობითვე ჰყვირიან და ჰქადაგებენ თავიანთ წიგნების სიკეთესა. არავითარს ღონეს არა ჰზოგავენ ეს ვაჟ-ბატონები. აი რა ეწერა ერთს ამ გვარის ქებათა-ქადაგების ფურცელზე: „სვეტი კურნებისათვის ყოვლისა სენისა და ავადობისაო“. აქ იწყობა დიდი ქებათა-ქება ამ წიგნისა და თავდება ასე: «ქვეყანაზე არ იქნება ისეთი კაცი, რომელმაც ეს წიგნი იყიდოს, წაიკითხოს და თავისთვის ბევრი-რამ სასარგებლო არ ამოიკითხოსო». აი რა წიგნები გვაქვს კიდევ გასასყიდიო: „მხიარულებისა და სიყვარულის მომცემიო“, „ჯოჯოხეთის ფოსტა სიყვარულით დატკბობისათვისაო“. ამ წიგნების წაკითხვას ვურჩევთ მოხუც კაცებსა და ქალებსაო, ახალ-გაზდა ყმაწვილებსა და გასათხოვრებსაო, როგორც არსებითად საჭიროსა და სასარგებლო წიგნებსაო.

გაზეთი ამბობს, რომ ამ სენს უნდა რამ წამალი დაედოსო, ჩვენი ლიტერატურა და მწერლობა ამ სენს ადვილად მოუღებს ბოლოს, თუ თავად ეცდება და მიაწვდის ხალხს პატარ-პატარა სასარგებლო წიგნებსაო.

საკვირველიაო, ამბობს ბოლოს გაზეთი: კაცნი უვიცნი და უმეცარნი სრულიად უცნობს საქმეში მოქმედობენო თავის ავის გრძნობებითაო, მწერლობენ ლიტერატურაშიო და უფრო მეტი გასავალი აქვს იმათ ნაწერსაო, ვიდრე ნამდვილის მწერლებისა და ლიტერატორების ნაწერებსაო.

მადლობა ღმერთს, ჩვენებურს ავლაბრულ ლიტერატორებს ჯერ იმ ავ-ზნიანობამდე არ მიუღწევიათ, სადამდინაც მისულან ლეუხინი, მანუხინი და მათი დამქაშები.

რუსეთი

— სმოლენსკიდამ სწერენ „Московскій листокъ“-ს შემდეგს ამბავსა: 30 ივნისს ღამე აქაურს საპყრობილიდამ გაიქცა ცნობილი ავაზაკი-ქალი, სახელად „სონკა, ოქრო-ხელა“. ამას ჰქონია სმოლენსკის ოლქის სასამართლოსაგან გადაწყვეტილი სამი წლით კატორგა; ამასგარდა ორმოცი მათრახი უნდა დაეკრასო. ამასთან გაქცეულა საპყრობილის ზედამხედველი მიხაილოვი, რომელიც ყოფილა ავაზაკის გაქცევის მიზეზი.

— უწმინდესს სინოდს მადლობა გადუხდია ნიჟეგოროდის ეპისკოპოსის მოდესტისათვის იმ კეთილის მზრუნველობისათვის, რომელიც მას აღმოუჩენია ნიჟეგოროდის სასულიერო სემინარიის შეგირდებისათვის. ამავე ეპისკოპოსს დაუწესებია, რომ თვით სემინარიაში მიეცეთ უფასო სადგომები თავის ხარჯით მყოფთ მოწაფეებსაო. საქმე იმაშია, რომ მომავალის 1886—1887 სასწავლებელო წლიდამ ყველა თავის ხარჯზე მყოფნი ნიჟეგოროდის სასულიერო სემინარიის მოსწავლენი იცხოვრებენ სემინარიაში სამღვდელოების ხარჯზედ აშენებულს სადგურებში.

იმ სადგურებში, რომელიც თვისის მეცადინეობით ეპისკოპოსმა მოდესტიმ გამართა, მიიღებენ იმ მოწაფეებსაც, რომელნიც მოკლებულნი იქნებიან სახელმწიფო ხარჯსა ზარმაცობისა ან სხვა დანაშაულობის გამო.

უცხოეთი

ინგლისი. ლორდ გარდინგტონი ისევ როსსენდელში ამოურჩევიათ 5,339-ს ხმის უმეტესობით წინაამდეგ 3,939-სა. საარჩევნო ბრძოლაში ამას დუშში მოუვიდა, აჯობა თავის მოწინააღმდეგეებსა, გლადსტონსა, გოშენსა და ტრაველიანსა, რომელთაც ედინბურგში და ბორდერ-ბურგში საკმაო ხმა არ გამოუვიდათ. გარტინგტონმა არ უნდა დაივიწყოს, რომ კონსერვატორების შეოხებით აირჩიესო; ამბობენ, ვითომც ამ საქმეში იმათ უნდა უმადლოდესო. რადგანაც გარტინგტონს არჩევანზე კონსერვატორების დასი დაეხმარაო, ამიტომ მეტი ღონე არ ექმნება, უნდა ტორიებს დაუახლოვდესო.

საფრანგეთი. ბევრჯელ გვქონდა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ საფრანგეთი აღარ მალავსო თავის მტრობას გერმანიის მიმართ. ამ დღეებში საფრანგეთის სამხედრო მინისტრის, გენერალ ბულანჟეს გაზეთში „France militaire“ იყო დაბეჭდილი წერილი, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქციაო. ავტორი წერილისა პირ-და-პირ ეუბნება მართებლობას, რომ დროს ნუღარ ვკარგავთ, აფიცრებისთვის საომარი მუნდირები შევამზადოთო. «ჩვენ გვგონია, ამბობს გაზეთი, რომ ეს მუნდირები აფიცრებს უსათუოდ დასჭირდებაო. სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ამ საქმის თაობაზეო; ერთის მხრივ ამბობენ, რომ აწინდელი საქმეთა მიმდინარეობა ეხლა უფრო მშვიდობიანობის დაცვას უმართავს ხელსაო, ვინემ კვლავაო. მეორეს მხრივ გვარწმუნებენ, — და ჩვენც ამ აზრისანი ვართო, — რომ მოახლოვებულია დღე ჯავრის-ამოყრისა და სამაგიეროს გადახდისაო ამ ჟამად ნემეცები ისე გაჩვენებენ თავს, ვითომ ჩვენ მათ წინააღმდეგ არას ვაპირობთ, ვითომ ჩვენი რუსეთთან დაახლოვება განსაკუთრებით ინგლისის მტრობით მოგვდიოდეს. ნემეცებს უნდათ ქვეყანა დააჯერონ, რომ ეს მართალია. ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენს თავს გავიხსენოთ ის სიტყვები, რომელიც დიდმა ორაკულმა თავადმა ბისმარკმა სთქვა: «კოლონიალური საქმე მეცის კედლებთან გადაწყდაო». ეს და ბევრი ამ გვარი გამოლაშქრება ნემეცების გაზეთებისა, რასაკვირველია, ხელს არ მოუმართავს ჩვენს ურთიერთ შორის განწყობილებასაო, ამბობს ბოლოს იგი გაზეთი.

— ოსმალის ჰერცოგს აი რა წიგნი მიუწერია რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის, როცა ის ჯარიდამ გამოურიცხავთ: „შანტილი, 11-ს ივლისს 1886 წელსა. ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენ ამ სამის წლის წინად უსაბუთოდ დამინიშნეთ მკაცრი სასჯელი. მე დავდუმდი; მე თუმცა თქვენი ხელქვეითი ვიყავ, მაგრამ მაინც არა მსურდა გამეწყვეტნა ის კავშირი, რომელიც მე მქონდა საფრანგეთის ჯართან. ეხლა კი, როდესაც სიებიდამ ამომშალეთ, თავისუფალი ვარ, რომ მოგახსენოთ შემდეგი: თქვენ არ აქცევთ ყურადღებას ჩინებს, რომელიც სისხლით მოპოვებულია ომში; თქვენი მინისტრები არ გვასვენებენ ჩვენ, უდანაშაულო ხალხსა, რომელთაც დამსახურებული გვაქვს ჩვენის სამსახურით და მამულისადმი ძველის-ძველის ერთგულებით; თქვენ მინისტრებს არ უნდათ რომ ჩვენ პატივი გვქონდეს. მე ნებას ვაძლევ ჩემს ვექილს კანონიერის გზით და საბუთებით დაიცვას ჩემი საქმე, რომელიც ამასთანავე მთელის აფიცრების საქმეა. რაც შემეხება საკუთრივ მე, რომელიც ვარ უფროსი აფიცერი საგენერალო შტაბისა და რომელსაც მეპირა როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს, მაღალი ადგილები, — მოვალედ მიმაჩნია ჩემი თავი მოგაგონოთ, რომ თქვენ არა ვითარიმე ნება არა გაქვთ შეეხოთ სამხედრო ხარისხებსა. გენერალი ჰენრიხ ორლეანელი, ჰერცოგი ომალისა.“ შარტრის ჰერცოგსაც თავის მხრივ საჩივარი შეუტანია სასამართლოში მინისტრის განკარგულებაზე.

ირლანდია. გაზეთები დაწვრილებით მოგვითხრობენ არეულობის ამბავს, რომელიც დუბლინში მოხდა. აი საქმე როგორა ყოფილა: დუბლინის ერთს ქუჩაზე სამი კლუბია და თითქმის ერთი-ერთმანეთზეა მობმული: კლუბი პარნელისტებისა, კონსერვატორებისა და ესრედ წოდებული „ორანჟისტების დარბაზი“. იმ დღეს, როდესაც არეულობა მოხდა, ქუჩა-ქუჩა მუსიკა დადიოდა და უკრავდა: „ღმერთო, იხსენ ირლანდია!“ მუსიკას დიდ-ძალი ხალხი ასდევნებოდა. როდესაც ხალხი კონსერვატორების კლუბს დაუპირ-და-პირდა, კლუბის ფანჯრებიდგან სტვენა და ლანძღვა მოისმა. ხალხმა ფანჯრებში ქვის სროლა დაიწყო, კლუბიდამ ბოთლები წამოვიდა და რამდენჯერმე დამბაჩაც გავარდა. ხალხი აირია. პოლიციამ ვერა გააწყო-რა, რადგანაც დიდ-ძალი ხალხი იყო. პოლიციას სწორედ იმ დროს მოეშველნენ კიდევ სხვა პოლიციელები, როდესაც ხალხს განავთულის ლეიბისთვის ცეცხლი წაეკიდებინა, კარებთან მიეგდო და კლუბის დაწვა განეზრახა. პოლიციამ ხალხი გარეკა და ანთებული ლეიბი გააქრო. ნახევარ საათის შემდეგ ეს ხალხი ორანჟისტების კლუბს მიუხტა და ფანჯრებში ქვის სროლა დაუწყო. კლუბიდამ რამდენიმე დამბაჩა გავარდა და ხალხი გაფანტა, თუმცა ზიანი არავის მისცემია.

ოსმალეთი. ბოლგარიის თავადს მიუწერია ოსმალეთისთვის, მე რომ სიტყვა ესთქვი, იმით მინდოდა მხოლოდ ოპოზიცია ჩამეჩუმებინაო. ჩემს მოქმედებაში არაფერი გასაკიცხავი არა არისრაო და ტყუილად მდებენ ბრალს, ვითომ მე სახეში ვისიმე შეურაცხ-ყოფა მსურვებოდესო. გაუქმდება თუ არა კრებაო, დელეგატებს დავნიშნავ, რომ რუმელიის ორგანებური სტატუტი გადასინჯონო.

— რუსეთის რწმუნებულმა პირმა ონუმ, როცა გამოუცხადა ოსმალეთს ბათუმის პორტო-ფრანკოს ამბავი, აუხსნა რომ ეს იმიტომ უფრო მოხდაო, რომ ხალხი დიდს შეწუხებასა

და გაჭირვებაში იყოვო, ბათუმი დღეის შემდეგ სავაჭრო ნავთ-სადგური იქმნებაო.

— ბოლგარიისა და სერბიის საზღვრებზე ოსმალეთის ჯარი კიდევ იგზავნება. აქნობამდე სულ გაგზავნილა 20,000 ჯარის-კაცი. ელიან სულთანის ბრძანებას, რომ შეუყვეთონ ერთი კრეისერი და ცხრა მინონოსკა.

* * *

ორიოდე სიტყვა

ეპიგრაფიკაზე, როგორც ისტორიულ მასალაზე.

ისტორიის სხვა და სხვა მასალათა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს ეპიგრაფიკას. ეპიგრაფიკას, ანუ ისტორიის შესწავლას ზედ-წარწერების საშუალებით მეცნიერებამ ამ მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ყურადღება მიაქცია. ამ მეცადინეობის შედეგი ის იყო, რომ ბევრი მხარე ისტორიისა გამოაშკარავდა, ბევრი ისტორიული ფაქტები, გარემოცული ბურუსითა, ნათლად დაგვანახვა. საზოგადოდ ყოველის ერის ისტორიაში იმისთანა დრო ბევრი ყოფილა, რომლის შესახებ ჟამთა ვითარებამ არც ერთი ხელთ-ნაწერი მასალა არ გადაარჩინა და აღმოფხვრა კვალი თვით-ზეპირ-გარდმოცემისაცკი. ამ შემთხვევაში დიდად საჭიროა ზედ-წარწერების შესწავლა, მათი კრიტიკული განხილვა. ეპიგრაფიკა არც მაშინ დაჰკარგავს თავის დიდ მნიშვნელობას, როცა რომელიმე ისტორიულ ხანას შესახებ ბევრი ხელთ-ნაწერი მასალაც მოიპოვება ეპიგრაფიკა ამ შემთხვევაში საგნის ყოველმხრივ განხილვის საშუალებას გვაძლევს, რადგან საზოგადოდ ხელთ-ნაწერი მასალა ერთ რომელსამე მხარეს ერის ცხოვრებისას შეეხება.

დასავლეთ ევროპაში მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოების ჰუმანისტები სხვა-და-სხვა ზედ წარწერებს აგროვებდენ, მაგრამ ჰუმანისტებს არა ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი მეცადინეობის საგანი, არა ჰქონდათ გამოკვლეული არც წესი; არც რიგი ზედ-წარწერების შესწავლისა. მეცნიერების მნიშვნელობა ეპიგრაფიკას მიეცა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. პროფესსორი ბერლინის უნივერსიტეტისა ავგუსტ ბიოკ (A. Böckh) 1810 წ. შეუდგა საბერძნეთის ზედ-წარწერებთა შესწავლას და კრიტიკულად იკვლევდა სულ სხვა ახლის წესით. შემდეგ ამ გვარს საქმეშივე დიდი სახელი მოიხვეჭა გამოჩენილმა თანამედროვე ისტორიკოსმა მომსენმა, რომლის ისტორიული ნაწერები სამუდამო განძია ისტორიისათვის. მომსენი კრიტიკულად იკვლევდა ზედ წარწერებსა იქავე, სადაც აღმოაჩენდა. ნომსენმა დაბეჭდა დიდ-ძალი ლათინური ზედ-წარწერანი: Corpus inscriptionum Latinarum. მთავრობამ გაჰგზავნა სხვა-და-სხვა მხარეს მეცნიერთა ექსპედიციები ზედ წარწერების მოსაპოვებლად. 1858 წ. გამოვიდა მომსენის თხზულება: რომის ისტორიის ქრონიკონი. აგრეთვე დიდად საყურადღებო და შესანიშნავია მომსენის თხზულება, რომელიც იყო ნაყოფი ეპიგრაფიკის შესწავლისა, სახელდობრ: ისტორიული განხილვა იტალიის დიალექტებისა. ამ თხზულებამ მეცნიერულ ნიადაგზე დაამყარა აზრი რომაელთ ეროვნობისა და მათ უძველესს ეტნოგრაფიულ ვითარების თაობაზე. საზოგადოდ მომსენის ნაწერების შემწეობით რომის ისტორია ნათელით მოიფინა. ასეთი დიდი სარგებლობა მოუტანა ეპიგრაფიკამ ისტორიულ მეცნიერებას.

ჩვენ, ქართველებმა, უნდა ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას მით უფრო, რომ ჩვენი ისტორია დაბურულსა და გაუვალს ტყეს წარმოადგენს, ისეა ჯერ გამოუკვლეველი, რომ ამ სამეცნიერო საქმის აღსრულება სრულებით შეუძლებელია და ყოვლად მოუხერხებელი მთავრობის დაუხმარებლად. ჩვენ ისე მდიდრები არა ვართ ჯერ, რომ დიდის ფულის დახარჯვა შეგვეძლოს ამ გვარის საქმისათვის. დახმარება, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა. ამ მხრივ მოსაწონია ის აზრი, რომელიც გამოსთქვა ჩვენმა პატივცემულმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ ერთ თავის ისტორიულ წერილში. კავკასიის შესწავლა ყოველ მხრივ თუ მოხერხდება, მართებლობის შემწეობით მოხერხდება. მაგალითებრ, მიმოსვლანი კავკასიაში გულდენშტეტისა, კლაპროტისა, ბროსსესი და სხვათა მთავრობის აზრით იყო და მისის ხარჯითა და საშუალებით სწარმოებდაო.

მრავალ-გვარი ზედ-წარწერანი ხატებისა და ეკკლესიებისა უზრუნველობის და ხალხის უმეცრების გამო სამუდამოდ დაიკარგებიან მეცნიერებისათვის. ბევრი ყოფილა იმისთანა მაგალითი, რომ ძველი ხატები, შეჭედილი ოქროთი და ვერცხლით, შესანიშნავის ზედ-წარწერით დროს განმავლობაში ცარიელს ტიტველს ფიცრებად გარდიქმნენ, როგორც მაგალითად სვანეთში და ახალციხის მაზრაში. ეს მაგალითნი ნათლად გვიმტკიცებენ საზოგადოების დაუდევრობას. ამასთანა არა სანუგეშო გარემოება ზნეობითად ვალდებულად ჰხდის ყველა ქართველს, რომელსაც წადილი აქვს ჩვენის წარსულის შესწავლისა, სხვა-და-სხვა საშუალება იხმაროს და როგორმე ქვეყანას ჩააგონოს საქართველოს ზედ წარწერების განხილვის საჭიროება. კარგი იქმნებოდა, რომ ჩვენში საისტორიო საზოგადოება იყოს დაარსებული.

ა. გარსევანაშვილი

* * *

დეპეშა

9 ივლისს

უფა. დღეს დღესასწაულის მეორე დღეს, როდესაც გათავდა სობორში არქიერის მიერ შესრულებული წირვა, ჩაჰყარეს საძირკველი ნიშნისა იმპერატორისა ალექსანდრე II-ის სახსოვრად. ქალაქის საბჭოში და სტატისტიკურს კომიტეტში კრება იყო; საღამოთ საერო სეირნობა და წარმოდგენა იყო გამართული ბაღში.

ვენა. „Neue Freie Presse"-ს დეპეშით აცნობებენ ბელგრადიდამ, რომ როდესაც შესამოწმებელმა კომისიამ თვისი მოხსენება წაიკითხაო, სკუპშჩინაში აყალ-მაყალი ასტყდაო. ოპოზიციამ წინააღმდეგობა განუცხადა, დარბაზიდამ გამოვიდა და არც დაწესებული ფიცი მიიღოვო. იგი შემობრუნდა დასაფიცებლად მხოლოდ მაშინ, როდესაც ალიაქოთი დასცხრაო. როდესაც კოროლმა დეპუტატები მიიღო, გამოაცხადა, რომ მე მზადა ვარო მივცე ჩემს ქვეყანას ახალი კონსტიტუციაო, თუ დავრწმუნდები, რომ ყველანი ჭეშმარიტის მამულის მოყვარეობით გამსჭვალულნი არიან, სურთ უარ-ჰყონ წვრილმან დასთა გულის თქმანი და ხელს-მოუმართვენ საზოგადო კეთილსაო. კოროლმა დაუმატა, რომ აწინდელი კონსტიტუცია მალად თავს მომახვია რეგენტობამაო.

სოფია. თავადმა შეიწყნარა იუსტიციის მინისტრის როდესლავოვის სამსახურიდამ გადადგომა.

10 ივლისს

პეტერბურგი. „Новое Время" იუწყება, რომ შაქრის მწარმოებელთა ახლად შემოტანილ საჩივრების გასარჩევად ფინანსთა სამინისტროს ცალკე კომისია გაუგზავნია ყველა მხარეებში, სადაც შაქრის წარმოებაა.

ვენა. ერცჰერცოგი კარლო—ლუდოვიგი, ავსტრიის იმპერატორის ძმა, მომავალ კვირას რუსეთის საიმპერატორო გვარეულობის სანახავად წავა პეტერგოფში, სადაც ცალკე ბარათით არის მიწვეული.

ლონდონი. კოროლევამ შეიწყნარა სამსახურიდამ გადადგომა გლადსტონის სამინისტროსი და მარკიზი სალისბიური მიიწვია—სბორნს.

პარიჟი. როცა ნუარში მეგლი დაუდგეს გენერალ შანზის, რომელიც სხვათა შორის ელჩათ იყო პეტერბურგში, იქ მყოფთა დაიძახეს: „გაუმარჯოს საფრანგეთსა, გაუმარჯოს რუსეთსაო!" ჩვენმა სამხედრო აგენტმა ბარონმა ფრედერიკსმა თავი დაუკრა ხალხს და ხელი ჩამოართვა გენერალ მატელენს. ამის შემდეგ ხელ-მეორედ გაისმა ხმა: „გაუმარჯოს რუსეთსაო"! საფრანგეთის გაზეთებმა ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა მიაწერეს. ამის გამო ჩვენმა საელჩომ პარიჟში გამოაცხადა, რომ ბარონ ფრედერიკს მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, თუ რა თანაგრძნობით იხსენიებენ პეტერბურგში გენერალ შანზასაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

11 დღე პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. ევფემიასი; ფრანგ; წმ. მოწ. პელაგიასი და იოანნასი. სომეხ. მარხვა. მუსულ. მე-42 ჯუმია. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—12; ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 11—25, ჩადის 11—14.

12 დღე შაბათი. წმ. მოწ. იოანესი, ევთიმესი და გაბრიელისა; ფრანგ. იოანნე, გვალბერტტასა, ფელიქსისა და გილიარისა. სომეხ. 12 მოციქულ. და წმ. პავლე მოციქულ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—14; ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26; მთვარე ამოდის 11—59, ჩადის 12—13.

13 დღე კვირა. კრება გაბრ. მთავარანგელოზისა;—ფრანგ. მოწ. მალგორჟატისა და ანაკლეტასი. სომეხ. ალების-ლამე გარდავარის (ფერის-ცვალების) მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15; ტფილისში მზე ამოდის 4 - 47, ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 12 საათ. ჩადის 1—12.

14 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. აკილასი, ონისიმესი და სტეფანესი. ფრანგ. ეპ. ბონავენტურისა და ქალწ. იუსტიანესი. სომეხ. 1 დღე ფერის-ცვალების მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 4—48, ჩადის 7—24. მთვარე ამოდის 12—35, ჩადის 2—15.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა . 2½
› › 2 › 2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარისხ. 4½ ›
› › 2— 3 ›
› › 3 › 2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 4½ ›
მე-2 ხარისხისა . . 3½ ›
მე-3 — . . . 3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 ›
‹ › 2 6 ›
სუკი . . . . 14 ›
ცხვრის ხორცი . . . 7 ›

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24		

განცხადებანი

ქალაქის საქალებო პროფესიონალური სახელოსნო საყოველთაოდ აცხადებს, რომ

1) ვისაც სახელოსნოში შესვლა ჰსურს, თხოვნა უნდა შემოიტანონ 10—25 აგვისტომდე ამა 1886 წლისა, ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 12—მდე (კვირა-უქმე დღების გარდა).

2) თხოვნა უნდა დაიწეროს და მიერთვას სახელოსნოს დირექტორქალს, რომელიც სცხოვრობს სახელოსნოშა, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ფედორენკოს სახლში.

3) თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობა მეტრიკისა, ყვავილის აცრისა და პირველ-დაწყებითის სკოლის კურსის ცოდნისა.

4) ვისაც სახელოსნოში შემოსვლა უნდა, 14 წლისაზე ნაკლები არ უნდა იყოს. (3—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 6 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.